ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01190793835**
თარიღი: **20/03/2019**
პინი: **9159**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404987332
მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ევგენი მიქელაძის ქ., №1ა

თქვენი N10/01190734243-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების ერთი ეგზემპლარი.

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ ს-10/01190734243-17

"20." 03. 2019 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა №9-ში (საკ. კოდი № 01.13.01.013.010) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობის რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება)–III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1210731 08.04.14წ.

ინსპექციის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა №9-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„დ-ა" ფასადი: „ა-ბ" მონაკვეთში. -0.50 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ღიობი. +11.40 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია საჰაერო ღიობები.

±0.00 ნიშნულზე ნაწილობრივ გაუქმებულია ფართი და მოწყობილია ორსინათლიანი სივრცე. დამატებით მოწყობილია მინუს ნიშნულზე ჩასასვლელი კიბეები. „1-2" - „ა-ბ" მონაკვეთში კიბის უჯრედში გაუქმებულია ერთი მარში. „6" ღერძის გარეთ, „ა-დ" მონაკვეთში არ არის მოწყობილი ფართი. შენობის პერიმეტრზე არ არის მოწყობილია კიბეები და ბაქნები. „3" ღერძთან, „ა-ბ" მონაკვეთში მოწყობილია არმირება იატაკის ფილის ჩასასხმელად. არ არის დემონტირებული კოლონების ქარგილები.

+15.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ლითონის სვეტები, ფერმები და შეცვლილია კონსტრუქცია. სახურავზე დამატებით მოწყობილია ლიფტის სამანქანო, ასევე ნაწილობრივ მოწყობილია შემინული სახურავი. გაუქმებულია ტერასები და გაზრდილია შიდა ფართი. „4-6" – „გ-დ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბე და გაჭრილია იატაკის ფილა. გაზრდილია სართულის და შენობის გადახურვის ძირების სიმაღლე 70სმ-ით, ხოლო კეხის სიმაღლე დაახლოებით 50სმ-ით.

ფასადებზე შეცვლილია კარ-ფანჯრის და ვიტრაჟების რაოდენობა, გაბარიტი, ნახატი და მდებარეობა. ნაწილობრივ დასასრულებელია ცოკოლის მოპირკეთება. შეცვლილია ფასადების მოპირკეთების მასალა და ფერი. „ა-დ" და „1-6" ფასადებზე დამატებით მოწყობილია სარეკლამო აბრები. არ არის მოწყობილი აივნები და მოაჯირები.

შენობაში დამატებით მოწყობილია დაახლოებით 688მ^2-ის ფართის და 256სმ სიმაღლის სარდაფის სართული. დამატებით მოწყობილია კოლონები და რიგელები ასევე ნაწილობრივ შეცვლილია იატაკის და გადახურვის ფილები. „6" ღერძის გარეთ, „ა-დ" მონაკვეთში არ არის მოწყობილი დაახლოებით 120მ^2 მიშენება. დამატებით მოწყობილია ლიფტი და ლიფტის შახტა. შეცვლილია და დასასრულებელია სადარბაზოების მოწყობა, ასევე შეცვლილია სადარბაზოების გაბარიტი. საკომუნიკაციო შახტების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს. შენობაში არ არის დემონტირებული ხარაჩო. დასასრულებელია კიბის უჯრედების მოპირკეთება და არ არის მოწყობილი მოაჯირები.

შეცვლილია შენობის გადახურვის მასალა. დამატებით მოწყობილია პარაპეტი.

შენობიდან და ტერიტორიიდან გასატანია სამშენებლო ნარჩენები და მასალები. შეცვლილია და დასასრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს №28-95 25.09.2018წ. დადგენილების, ქ.თბილისის

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ნიუ ვიჟენ ინფრასტრუქტურა"-ს, ქ. თბილისში, (ნოდარ ბოხუას ქუჩა №9-ში (საკ. კოდი № 01.13.01.013.010) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობის რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება)–III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/01190734243-17 15.03.19წ. და
№10/01190744150-17 15.03.19წ. განცხადებები.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

წერილის ნომერი: **17-01192121236**
თარიღი: **31/07/2019**
პინი: **0462**

ადრესატი: ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404987332

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/0119207487-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა N9-ში (საკ. კოდი N01.13.01.013.010) მდებარე ობიექტის (არსებული შენობის რეკონსტრუქცია (მიშენება-დაშენება)) გადამოწმებით დადგინდა, რომ ცოკოლის მოპირკეთება დასრულებულია, მაგრამ შეცვლილია მოპირკეთების მასალა; დასრულებულია სადარბაზოების მოწყობა; შენობაში დემონტირებულია ხარაჩო; დასრულებულია კიბის უჯრედების მოპირკეთება და მოწყობილია მოაჯირები; შენობიდან და ტერიტორიიდან გატანილია სამშენებლო ნარჩენები და მასალები; დასრულებულია ტერიტორიის კეთილმოწყობა მაგრამ შეცვლილია, დამატებით მოწყობილია ბაქნები და პანდუსები.

აღნიშნული წერილი განხილულ იქნეს N∂-10/01190734243-17 ბრძანებასთან ერთად.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი